იზოლდა ხოხაშვილი

# ანიმაცია ტურიზმში

## სალექციო კურსი

2012

გ თ ს უ

# შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| შესავალი………………………………………….................................................... | | |
| თავი 1. | **ანიმაცია ტურიზმში ........................................................................** | 3 |
| 1.1. | ანიმაციის წარმოშობის ისტორიული წინამძღვრები.................... | 5 |
| 1.2. | ანიმაცია,როგორც პიროვნების სოციალური აქტივობის ფორმა | 8 |
| 1.3. | ანიმაციის სახეები | |
| 1.2.1. | რეკრეაციული ანიმაცია | |
| 1.2.2. | ტურისტული ანიმაცია | |
| 1.2.3. | სასტუმროს ანიმაცია........................................................................ | |
| თავი 2. | **ანიმაციის მენეჯმენტი...................................................................** | |
| 2.1. | ანიმაციური მენეჯმენტის სტრატეგია და ტაქტიკა....................... | |
| 2..2. | ანიმაციური მენეჯმენტის ფუნქციები........................................... | |
| 1.3.3. | ანიმაციური ტურების ორგანიზაცია | |
| თავი 3. | ანიმაცია ტურიზმში – ახალი პროდუქტი ქართულ ტურისტულ ბაზარზე | |
| თავი 4. | სამუზეუმო ანიმაცია | |
| | დღესასწაულები, ფესტივალები,კარნავალები ანიმაციაში | |
| | თემატური პარკების ანიმაცია | |
| თავი 5. | თამაშობანი ანიმაციაში | |

# შესავალი

დღეისათვის ტურიზმის მდგრადი განვითარება შეუძლებელია ტურისტის მზარდ მოთხოვნილებაზე ორიენტირებული მომსახურების ხარისხისა და დასვენება/გართობის ორგანიზაციის გარეშე. ტურისტული პროდუქტის მაღალი ხარისხი წარმოადგენს აუცილებელ პირობას ტურისტული ბიზნესის განვითარებისათვის. უკანასკნელ წლებში ტურიზმის სფეროში გაჩნდა ახალი მიმართულება - ანიმაცია. ეს არის სპეციფიური ტურისტული პროდუქტი, რომელის ჩამოყალიბებას დიდა შეუწყო ხელი კურორტებს შორის გაზრდილმა კონკურენციამ, სწრაფვამ რაც შეიძლება მრავალფეროვანი და სრულყოფილი გახადონ ტურისტის მომსახურება. ანიმაცია გულისხმობს ტურისტის მონაწილეობას თეატრალიზებულ შოუ-პროგრამებში, სპორტულ და კულტურულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში. დადგენილია, რომ ანიმაციური პროგრამების ჩართვა სასტუმრო მომსახურებაში მნიშვნელოვნად ამაღლებს სასტუმროს იმიჯს და მის კონკურენტუნარიანობას ტურისტული მომსახურების ბაზარზე. დღეისათვის ტურისტულ ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა ანიმატორებისადმი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ურბანიზაციის არნახული ტემპი მთელს მსოფლიოში; არაჯანსაღი ეკოლოგიური გარემო; ცხოვრების წესის სტრესული ფაქტორები. როგორც წესი ადამიანები მოგზაურობისა და დასვენების დროს ცდილობენ თავი დააღწიონ ყოველდღიურობას, აღიდგინონ როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ძალები, გათავისუფლდნენ სტრესული ფაქტორებისაგან. ყოველივე ამის შესრულება ძირითადად დაკისრებულია ანიმატორებზე. ანიმაცია ეს არის ცხოვრების ხალისის დაბრუნება, სასიცოცხლო ძალების აღდგენა; ჩართულობა აქტიურ ცხოვრებაში და არა პრიმიტიული გართობები საღამოს შეკრებისას ან მორიგი ფილმის ყურება; ანიმატორი ეს არის უნიკალური ადამიანი, რომელსაც შესწევს უნარი მიიპყროს ყურადღება, გააღვიძოს ინტერესი ადამიანებში და არა უბრალოდ მასხარა ფერად ტანსაცმელში ან კულტმასიური ღონისძიებების ორგანიზატორი, როგორც ეს ასოცირდება უფროსი თაობის წარმომადგენლებში. ანიმაცია - ეს არის თავისებური მომსახურება, რომელიც ერთის მხრივ ზრდის ტურისტული პაკეტის ხარისხს და მეორეს მხრივ ეს არის რეკლამა როგორც კონკრეტული სასტუმროს, ასევე ზოგადად ქვეყნისა, რათა ტურისტს გაუჩნდეს მეორედ მობრუნების სურვილი და ამასთან, რაც ძალზედ

მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოს ტურისტული პროდუქტის წინწაწევას მსოფლიო ბაზარზე.

# სპეციალური ტემინების მცირე ლექსიკონი

**აკვაგრიმი** – раскраска профессиональными визажистами яркими красками лица ребёнка, превращающая его в какое-либо животное или сказочного героя.

**აკვაპარკი** – это развлекательный комплекс, в котором имеется инфраструктура для занятия играми на воде и водные аттракционы, такие как водяные горки, бассейн с искусственными волнами, поливалки, бассейны с вышкой, фонтаны, «ленивая река» и другие водные развлечения.

**ტურიზმის ანიმაცია Анимация туризма** – разработка и предоставление программ проведения рекреации и организации досугового времени туристами.

**ანიმაცია** – это оживление программ обслуживания, отдыха и досуга**,** главной целью которого является целенаправленное создание хорошего настроения людей во время отдыха.

**ანიმაციური ტური** – тур, имеющий своей основной целью развлечения во время отдыха.

**ანიმაციური ტუროპერეიტინგი** – это тесное взаимодействие досугово-развлекательного и сервисного комплексов с личностным подходом к обслуживанию и развлечению каждого туриста.

**ანიმატორი** (от итал. *animato* – одушевленно, оживленно) – организатор рекреационной, досуговой деятельности туристов, специалист, занимающийся разработкой индивидуальных и коллективных программ проведения досуга, ориентирующий людей в многообразии видов досуга, организующий полноценный досуг.

**ანიმაციური გუნდი** – это группа аниматоров, приглашенных специалистов, обладающих артистическими способностями, которые по мере таланта и опыта развлекают отдыхающих в послеобеденное время,

вечером, в любое время, когда туристы и отдыхающие не заняты экскурсиями или лечебными процедурами.

**ანიმაციური პროგრამა** – комплекс мероприятий спортивного и развлекательного характера, которые входят в сферу рекреационных и ду-



ховных интересов туристов и разрабатываются для проведения ими свободного времени.

**ატრაქცია** (от лат. *attrahere* – привлекать) – развлечения, являющиеся важным элементом туристского продукта.

**ბოდი-არტი** – художественная роспись по телу человека.

**დელფინოთერაპია** – лечение с помощью дельфинов.

**დისლეილენდი**– тематический парк, воссоздающий историческую атмосферу и облик поселений и их жителей, хорошо известных по мировым литературным источникам-бестселлерам, а также мульт- и кинофильмам.

**Досуг** – индивидуальное свободное время, располагаемое человеком, в процессе которого он не занимается оплачиваемым трудом, а также непреложными обязанностями повседневной жизни (работой по дому, воспитанием детей, уходом за собой).

**Досуговая деятельность** – специфическая активность людей во время досуга.

**Индустрия досуга** – совокупность современных отраслей, учреждений и фирм, которые создают товары для использования их человеком в свободное время.

**ინტერაქცია** (от англ. *inter* – между) – процесс, предполагающий взаимодействие.

**იპოთერაპია** – реабилитация при помощи лошадей.

**კარნავალი** (от итал. *carne vale* – прощай, мясо) – народный праздник

под открытым небом, сопровождающийся уличными шествиями, танцами, маскарадами, играми и т. д.

**კარტინგი** (от англ. *cartig*) – спортивные гонки на картах – микроавтомобилях без подвески.

**კინოპარკი** – тематический парк, в котором участники туров получают возможность побывать на съемках сериала и даже стать действующим лицом какого-нибудь захватывающего боевика или триллера.

**Костюмированные туры** – это туры с отдыхом в искусственно созданной среде, стилизованной под определенную эпоху.

**ლეგოლენდი** – тематический парк, способствующий развитию у ребенка потребности в развитии через умные игрушки и игры.

**მასკარადი** (фр. *maskarade*, итал. *mascherata, maschera*) – бал, празднество, участники которого являются в масках и костюмах.

**მისტერია** – театрализованная постановка пьесы религиозного содержания.

**მოტობოლი** – командная спортивная игра в футбол на мотоциклах.

**სამუზეუმო ანიმაცია** – это воспроизведение исторической эпохи через интерактивные приёмы работы с посетителями и организация анимационных постановок.

**რაფტინგი** – сплав на рафте (от англ. *raft* – плот) или катамаране по бурной, порожистой реке.



**პეიტბოლი**– (от англ. *paintball* – шар с краской) командная игра с применением ручного пневматического оружия, стреляющего шариками с краской.

**სანტა-პარკი** – тематический парк представляющий официально жи-

лище Санта-Клауса на Северном полярном круге.

**სერფინგი** (от англ. *surfing* – катание по поверхности) – это катание на волне с применением технических средств: досок, коротких ласт и специальных перчаток.

**სკეიტბორდი** (англ. *skatebording*) – экстремальный вид спорта, заключающийся в выполнении разнообразных трюков на специальном снаряде – скейтборде.

**სნოუბორდი** (англ. *snowboarding*, от *snow* – снег и *board* – доска) – вид спорта, включающий в себя скоростной спуск с горного склона, выполнение акробатических элементов на специальной трассе и пр. на сноуборде.

**ღონისძიების ანიმაცია** – вид туризма, связанный с посещением какого-либо редкого мероприятия, значительного явления, которые часто имеют международное значение.

**თემატური პარკი** – это познавательно-развлекательные комплексы, созданные с использованием новейших технологий, имеющие тематический характер и включающие зону отдыха.

**ფელინოთერაპია** – лечение с помощью кошек.

**ფესტივალი** (фр. *festival* – празднество, от лат. *festivus* – весёлый, праздничный), массовое празднество, включающее показ достижений в области музыки, театра, кино, эстрады.

**შოუ** (от англ. *show* – показывать) – пышное сценическое представление с участием популярных артистов.

**ჰანაბი** – «цветы из огня» (фейерверк), напоминающие японцам своей кратковременностью цветки сакуры, распускающиеся на пару дней.

**ჰანამი** – это японская национальная традиция любования цветами.

**ეთნოპარკი** – тематический парк, представляющий копию реально су-

ществовавших строений, направленный на изучение и сохранение памятников истории материальной и духовной культуры.__

## თავი 1. ანიმაცია ტურიზმში

უკანასკნელ წლებში სულ უფრო მეტი ტურისტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ორგანიზაცია ცდილობს გამოიყენოს მომსახურების ისეთი საინტერესო სახე, როგორიცაა ანიმაცია. მეორეს მხრივ, სულ უფრო მეტი ტურისტი ინტერესდება არა მხოლოდ სასტუმროში ცხოვრების პირობებით, არამედ სასტუმროში ანიმაციური გუნდის არსებობითა და მისი პროგრამით. უფროსი თაობის წარმომადგენლებისათვის სიტყვა ანიმაცია ასოცირდება ადამიანთან, რომელიც ხატავს მულტფილმის გმირებს, ან კულტმასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორთან სანატორიუმში.

დღევანდელი ანიმატორები ხასიათდებიან მაღალი პროფესიონალიზმით და ორიენტირდებიან უცხოური ტურბიზნესის საუკეთესო ნიმუშებზე. მაგ. თურქეთში, ევროპაში, საბერძნეთში ანიმატორები ქმნიან შოუს, კოსტუმირებულ წარმოდგენებს. ანიმატორები, როგორც რეჟისორები, ქმნიან შესაბამის ატმოსფეროს. ესენი არიან საინტერესო ახალგაზრდები, რომლებიც მუდამ მზად არიან თავისი ხალისიანი განწყობა გადსცენ გარშემომყოფთ. კარგი განწყობა კი მათი სამსახურებრივი მოვალეობაა.

ანიმატორების სამუშაო ეს არის აქტიური, ცოცხალი დასვენების, ნათელი შთაბეჭდილებების ორგანიზება სპორტულ, თაეტრალიზებულ შოუპროგრამებში მონაწილეობით. შესაბამისად, ანიმატორი არის სპეციალისტი, რომელიც დაკავებულია ინდივიდუალური და გუნდური გართობის, დასვენების პროგრამების შემუშავებით. ანიმატორები არიან მხიარული ენერგიული ადამიანები. ისინი სერიოზულ ადამიანებსაც კი აიძულებენ იხტუნონ ტომრებით, გაბერონ საჰაერო ბურთები და ა.შ. მათი მთავარი ამოცანაა აიძულონ ადამიანები იმოძრაონ და იმხიარულონ. ანიმატორების საქმიანობა სრულყოფილია როდესაც ისინი აღწევენ როგორც ფიზიკური, ისე სულიერი ძალების აღდგენას ადამიანებში.

ანიმაცია ლათინური სიტყვაა (ANIMATUS) და ქართულად ნიშნავს _ გამხნევება/ აღფრთოვანებას. ეს არის ცხოვრების ხალისის დაგრუნება, სასიცოცხლო ძალების აღდგენა; ჩართულობა აქტიურ ცხოვრებაში და არა პრიმიტიული გართობები საღამოს შეკრებისას ან მორიგი ფილმის ყურება; ანიმატორი ეს არის უნიკალური ადამიანი,

რომელსაც შესწევს უნარი მიიპყროს ყურადღება, გააღვიძოს ინტერესი ადამიანებში და არა უბრალოდ მასხარა, ფერად ტანსაცმელში ან კულტმასიური ღონისძიებების ორგანიზატორი.

დღეისათვის ტურისტულ ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა ანიმატორებისადმი განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: ურბანიზაციის არნახული ტემპი მთელს მსოფლიოში; არაჯასნსაღი ეკოლოგიური გარემო; ცხოვრების წესის სტრესული ფაქტორები. როგორც წესი ადამიანები მოგზაურობისა და დასვენების დროს ცდილობენ თავი დააღწიონ ყოველდღიურობას, აღიდგინონ როგორც სულიერი, ისე ფიზიკური ძალები, გათავისუფლდნენ სტრესული ფაქტორებისაგან. ყოველივე ამის შესრულება ძირითადად დაკისრებულია ანიმატორებზე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ანიმატორის ძირითადი ფუნქციები:

1. ადაპტაციის - ყოველდღიური ყოფიდან თავისუფალ, მოცლილ მდგომარეობაში გადასვლა
2. კომპენსაციის -ადამიანის განთავისუფლება ყოველდღიური ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაღლილობისაგან
3. მასტაბილიზებელი - დადებითი ემოციების შექმნა და ფსიქოლოგიური სტაბილურობის მიღწევა
4. გამაჯანსაღებელი- ფიზიკური ძალების აღდგენა
5. ინფორმაციული -ინფორმაციის მიღება ახალი ქვეყნის, რეგიონის ხალხების შესახებ
6. საგანმანათლებლო - ახალი შთაბეჭდილებების, ცოდნის შეძენა-გაფართოება გარე სამყაროზე
7. რეკლამის - ანიმაციური პროგრამების საშუალებით ტურისტი ხდება ინფორმაციის გამტანი ქვეყნის, რეგიონის, სასტუმროს, ტურფირმის შესახებ

ანიმაცია - ეს არის თავისებური მომსახურება, რომელიც ერთის მხრივ ზრდის ტურისტული პაკეტის ხარისხს და მეორეს მხრივ ეს არის რეკლამა როგორც კონკრეტული სასტუმროს, ასევე ზოგადად ქვეყნისა, რათა ტურისტს გაუჩნდეს მეორედ მობრუნების სურვილი და ამასთან, რაც ძალზედ მნიშვნელოვანია ხელი შეუწყოს ტურისტული პროდუქტის წინ წაწევას მსოფლიო ბაზარზე.

**საკონტროლო კითხვები**:

1. განმარტეთ ანიმაციის დისციპლინათშორისი პრინციპები
2. რამ განაპირობა გართობის სისტემების ფორმირება ძველ მსოფლიოში? როგორია ამ მოვლენის წინაპირობები?
3. დაახასიათეთ მხატვრულ-ესთეტიკური და მასობრივი სანახაობების ფორმები უძველეს მსოფლიო ეპოქაში
4. რა ფაქტორებმა განაპირობა დასვენების სისტემების ფორმების განვითარება თანამედროვე ეპოქაში ?
5. განმარტეთ როგორ იცვლებოდა თავისუფალი დროის გატარების სისტემის ფორმები ინდუსტრიარულ ეპოქაში

## თავი 2. ანიმაციის სახეები

ანიმაციის მრავალმხრივი ფუნქციები განაპირობებენ ანიმაციის სახეებს:

- რეკრეაციული ანიმაცია
- ტურისტული ანიმაცია
- სასტუმროს ანიმაცია

**რეკრეაციული ანიმაცია**

რეკრეაციული ანიმაცია - გართობის/დასვენების სახე, მიმართული სულიერი და ფიზიკური ძალების აღდგენისათვის. გამოიყენება როგორც ტურისტების, ასევე ადგილობრივი მოსახლეობის გასართობად. უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე "ტურისტული" და "სასტუმრო" ანიმაცია . ეს ორი უკანასკნელი მჭიდროდაა მიბმული რეკრეაციულ ანიმაციასთან. ვინაიდან ანიმაციური პროგრამების ძირითადი მიზანია დამსვენებელთა, მოგზაურთა გაჯანსაღება, მოწყვეტა ყოველდღიურობიდან, განწყობის ამაღლება - სასიცოცხლო ძალებისა და ენერგიის აღდგენა.

**ტურისტული ანიმაცია** - ტურისტული მომსახურება, როდესაც ტურისტი ერთვება აქტიურ ქმედებაში. პროგრამის შედგენისას ითვალისწინებენ ტურისტის ასაკს, ეთნიკურობას და სხვ.

ტურისტული ანიმაციის ტიპებია:

- პირველი ტიპი - ანიმაციური ტურისტული მარშუტები. მოიცავს ტურპაკეტის ძირითად ნაწილს, როგორც ფიზიკურად, ისე შინაარსობრივად. მიეკუთვნება - კულტურულ-შემეცნებითი, თემატური, ფოლკლორული, ლიტერატურული, მუსიკალური, თეატრარული, სამეცნიერო, სპორტული;
- მეორე ტიპი - დამატებითი ანიმაციური მომსახურება, გამოიყენება საჭიროების შემთხვევაში - უამინდობა, შეფერხება გადაადგილებისას და ა.შ.

- მესამე ტიპი - სასტუმრო ანიმაცია - კომპლექსური რეკრეაციული მომსახურება, დაფუძნებული ტურანიმატორის ტურისტებთან პიროვნულ კონტაქტებზე. ერთობლივ მონაწილეობაზე ტურკომპლექსის მიერ შემოთავაზებულ ანიმაციურ პროგრამებში

სისტემური მიდგომის თვალსაზრისით ტურისტული ანიმაცია ეს არის ტურისტის სპეციფიკური მოთხოვნის დაკმაყოფილება ურთიერთობებზე, აქტივობაზე, მოძრაობასა და სხვადასხვა გართობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდულ ტურიზმს. ახალგაზრდული ტურიზმისათვის უბრალოდ აუცილებელია ანიმაციის ის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მოთხოვნებს:

- ანიმაცია მოძრაობაში- უზრუნველყოფს ახალგაზრდა ადამიანის მოთხოვნას მოძრაობასა და აქტივობაზე;
- ანიმაცია თავგადასავლებით - უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნას სიახლის, მოულოდნელის, აღმოჩენების, სასიამოვნო მძაფრი შეგრძნებების და სხვ შესახებ;
- კულტურული ანიმაცია - უზრუნველყოფს ახალგაზრდა ადამიანის მოთხოვნას სულიერ განვითარებაზე, ხალხების კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების, ეთნოსის, ეროვნულობის გაცნობისას.
- შემოქმედებითი ანიმაცია - უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენაზე .

როგორც წესი ანიმაციური პროგრამები ატარებს კომპლექსურ ხასიათს და მოიცავენ ანიმაციის რამდენიმე ფორმას ერთდროულად. ანიმაციური პროგრამების შედგენისას გათვალისწინებული უნდა იყოს ადამიანთა ასაკობრივი კატეგორია. ახალგაზრდებს აინტერესებთ დრო გაატარონ აქტიურად და მხიარულად: აქ უნდა ჩავრთოთ დისკოთეკები, მხიარულთა და საზრიანთა ვიქტორინები, ფესტივალი, შოუ, სპარტაკიადა, ოლიმპიადები, თეატრალური წარმოდგენები, სანახაობრივი თამაშები.

ანიმაციური პროგრამების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- ტურისტული კომპლექსის ანიმაციური სტრატეგიებისა და კონცეფციების შემუშავება ამ კომპლექსის მარკეტინგულ კონცეფციასთან შესაბამისობაში;
- ტიპიური ანიმაციური პროგრამებისა და მეთოდოლოგიების შემუშავება და მათი ადაპტაცია ტურისტებთან
- ანიმაციური მოღვაწეობის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პროექტების შემუშავება .

ჩამოთვლილი ამოცანებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირველი ორი ა. ანიმაციური საქმიანობის სტრატეგიის შექმნა ეს არის საკმაოდ ღრმა, შემოქმედებითი, აზარტული პროცესი. აქ ძნელია მკაცრი რეკომენდაციების მიცემა. მაგ. სასტუმროს ანიმაციური პროგრამების სტრატეგიების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემდეგი:

- პროგრამა უნდა მოიცავდეს გართობის ყველა საშუალებას.
- პროგრამის რეალიზაციისა უნდა მოხდეს მოლოდინის გადაჭარბება
- პროგრამას უნდა შეეძლოს სასიამოვნო ატმოსფეროს შექმნა
- ყოველწლიურად უნდა ხდებოდეს პროგრამის განახლება სტუმრის გაზრდილი მოთხოვნილების შესაბამისად.
- ადაპტაციურობის გაზრდის მიზნით უნდა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბალანსი პროგრამის სტანდარტულობასა (ზოგადი ელემენტები) და ორიგინულობას (ექსკლუზიური ელემენტები).
- ყოველდღიური პროგრამა უნდა შეიცავდეს სურპრიზრბს, ინტრიგას, ერთდროულად 2-3 ღონისძიების შეთავაზების შესაძლებლობას სურვილებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

პროგრამის შემუშავებისას აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იყოს ერთიანი საფირმო სტანდარტის სტილი. საფირმო სტანდარტი უნდა იგრძნობოდეს ტურისტული კომპლექსის ყველა სფეროში. ანიმაციური მომსახურების ჩათვლით.

განვიხილოთ ანიმაციური პროგრამის შემუშავების ტექნოლოგია. ანიმაციური პროგრამის შემუშავების ტექნოლოგია გულისხმობს ანიმატორის კომპლექსურ შრომას, ამ შრომის ორგანიზაციას, სპეციალური ტექნიკური საშუალებების (ობიექტი, აღჭურვილობა, ინსტრუმენტები) გამოყენებას. ეს არის რთული პროცესი, ვინაიდან გულისხმობს შემდეგი ამოცანების გადაწყვეტას: ანიმაციური პროგრამების შედგენა, ყოველი პროგრამის ღირებულების ეკონომიურ დაანგარიშებას, მათ რეალიზაციას და შემდგომ ანალიზს. ახალგაზრდებისათვის განკუთვნილი ანიმაციური პროგრამების შექმნისა და რეალიზაციის ტექნოლოგია მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს. განვიხილოთ თითოეული მათგანი:

- ორგანიზაციული - ანიმაციური გუნდის ეკონომიურ, ტექნიკურ, მარკეტინგულ სამსახურებთან ერთობლივი მუშაობის ორგანიზაცია;
- მეთოდური - ღონისძიებების, ექსკურსიის ტექსტების, სპორტული თამაშობებისა და შეჯიბრებების შერჩევის, ლაშქრობების მარშუტების შედგენის სცენარების შექმნა/დამუშავება და მათი ადაპტაცია მეთოდური რეკომენდაციებისა და გამოცდილების გათვალისწინებით.
- რეჟისურა- როლების განაწილება, რეპეტიციების გეგმების შედგენა, სპექტაკლების, შოუების დადგმა.
- ტექნიკური - ტექნიკური საშუალებების (ობიექტი, აღჭურვილობა, ინსტრუმენტები), მოედანი/სცენა ანიმაციური ღონისძიებისათვის, რეკვიზიტების, დეკორაციების, განათების, მუსიკალური გაფორმების და სხვ. მომზადება.

ანიმაციური პროგრამების შედგენის ტექნოლოგია მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- ობიექტი - ტურისტი, მოსახლეობა (ჯგუფები ან ინდივიდუალურად)
- სუბიექტი - ხელმძღვანელი, ანიმაციური სამსახურის სპეციალისტი
- ანიმაციური შემოქმედება მთელი თავისი კომპონენტებით- სუბიექტის ობიექტზე ზემოქმედების პროცესი.

მთელი ამ სისტემის მთავარი ელემენტია ხალხი - (ტურისტი, დამსვენებელი, სტუმარი) და ყველაფერი ეს გამიზნულია მათი სულიერი და ფიზიკური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. ამიტომ სპეციალისტ -ანიმატორს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს მათი მოთხოვნები, ინტერესები იცნობდეს აუდუტორიას. ამის გარეშე შეუძლებელია სასურველი შედეგის მიღწევა.

ანიმაციური პროგრამების წარმატება დიდად არის დამოკიდებული სწორად ორგანიზებულ სარეკლამო კამპანიაზე. რეკლამა, როგორც ცნობილია, ეს არის ინფორმაცია პროდუქტის სამომხმარებლო თვისებებისა და მომსახურების სახეებზე პროდუქტის უკეთ რეალიზაციისა და მასზე მოთხოვნილების გაზრდის მიზნით. სარეკლამო კამპანიის ორგანიზაციისათვის აუცილებელია:

- რეკლამის ხარჯების ზუსტი გაანგარიშება საკუთარი ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით; პროგრამის რეალიზაციიდან მიღებული მოგების შეფასება.
- განისაზღვროს პოტენციური მომხმარებელი და მოხდეს მათი დახასიათება ასაკის, დემოგრაფიული ნიშნის, ეთნიკური წარმომავლობის სოციალური სტატუსის, შემოსავლების დონის და სხვ. მიხედვით;
- კონკურენტების გამოვლენა და თქვენი პროგრამის უპირატესობების განსაზღვრა, რომელსაც შემდეგ გამოვიყენებთ რეკლამაში.
- რეკლამის გავრცელების გზების და საშუალებების შერჩევა;

სასტუმრო კომპლექსებში გამოსაჩენ ადგილას გამოიკიდება სტენდი სადაც მითითებული იქნება ანიმაციური პროგრამები, გასართობი ღონისძიებანი. ჩატარების ზუსტი დროისა და ადგილის მითითებით. დაგეგმილი ღონიძიებების შესახებ შეიძლება გამოცხადდეს დილას სასტუმროს რადიოში. ინფორმაციის უკეთ გავრცელების მიზნით შეიძლება დღის განმავლობაში სასტუმროს ეზოში იმოძრაოს ჭრელ ტანსაცმელში გამოწყობილმა კლოუნმა და სტუმრები მიიწვიოს ღონისძიებაზე. კლოუნის ქცევის მანერა უნდა იყოს მეგობრული, კეთილგანწყობილი და ამასთან ინფორაციის გავრცელება ხდებოდეს გასართობი ფორმით, როგორც სასტუმროს ანიმაციის ერთი ნაწილი.

**საკონტროლო კითხვები**:

1. როგორი ტიპის ანიმაციური პროგრამებია ეფექტური სასტუმრო ინდუსტრიაში
2. როგორი ტიპის ანიმაციური პროგრამებია ეფექტური რესტორნების ბიზნესში
3. ჩამოთვალეთ თანამედროვე ანიმაციის ფორმები
4. როგორია ანიმაციის როლი სამკურნალო - გამაჯანსაღებელ ტურიზმში
5. როგორია ანიმაციური ტურიზმის ინფრასტრუქტურა
6. ანიმაციური საქმიანობის ტექნოლოგიები
7. ჩამოაყალიბეთ ანიმაციური ტუროპერეიტინგის ცნება. რას ეფუძნება ტუროპერეიტინგის საბაზისო პრინციპები
8. განმარტეთ ანიმაციური საქმიანობის სტრუქტურა. რა ითვლება ანიმაციის სტრუქტურულ კომპონენტებად?

## თავი 3. ანიმაციის მენეჯმენტი

- ანიმაციურ მენეჯმენტი წარმოადგენს მართვის სპეციფიკურ სისტემას, სადაც მართვის სუბიექტი ეს არის ანიმაციური სამსახურის უფროსი(ანიმაციური ) , ხოლო მართვის ობიექტი კი ეს არის ტურისტი და მათი ფიზიკური, ფსიქოლოგიური და სხვ. მდგომარება.
- ზოგადად ანიმაციური მენეჯმენტი ეს არის მთლიანი ტურისტული ინდუსტრიის მენეჯმენტის ნაწილი

**ტურისტის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელია**

- მატერიალურ ტექნიკური ბაზა
- ბუნებრივი და კულტურულ ისტორიული კომპლექსები
- რეკრეაციული ინფრასტრუქტურა მომსახურე პერსონალი

**ტურისტის მოთხოვნა**

ეს არის ტურისტის მდგომარეობის მახასიათებელი, რომელშიც ის იმყოფება მოგზაურობის/დასვენების დაწყების წინ, გამოხატული(შეგნებულად/შეუგნებლად) მის სწრაფვაში შეცვალოს დღევანდელი მდგომარეობა უკეთესობისაკენ. მაგ. ფიზიკური ძალების აღდგენა; სულიერი წონასწორობის მიღწევა, ახალი, დადებითი სასიცოცხლო მუხტისა და ესთეტიკური სიამოვნების მიღება

**ტურისტის კმაყოფილება**

ეს არის ტურისტის მდგომარეობის შეფასება მოგზაურობის /დასვენების დასრულების შემდეგ. მისი ცნობიერი თუ ქვეცნობიერი სურვილების/მიზნების მიღწევადობის დონე

**ბუნებრივი კომპლექსი**

ეს არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული და ერთმანეთიდან გამომდინარე ბუნებრივი ობიექტებისა და მოვლენები, რესურსები და პირობები ტურისტირ

მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის. ბუნებრივი პირობები აქტიურად გამოიყენება ანიმაციურ პროგრამებში

კულტურულ-ისტორიული კომპლექსი

ეს არის მატერიალური და არამატერიალური ისტორიული ფასეულობების ერთობლიობა, დაკავშირებული ტურისტულ კომპლექსებთან და ფართოდ ჩართული და სხადასხვა ფორმით გამოყენებული გამოყენებული ანიმაციურ პროგრამებში

მატერიალური ბაზა და მომსახურე პერსონალი

მატერიალურ ტექნიკურ ბაზას ანიმაციურ საქმიანობაში შეადგენს ტურისტული კომპლექსის რეკრეაციული რესურსების ანიმაციური ტექნიკური სისტემები.

მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფს ანიმაციური პროგრამების განხორციელებას, ცდილობს დააკმაყოფილოს ტურისტის მოლოდინი მაღალი ხარისხის მომსახურების გაწევით

ანიმაციური მენეჯმენტის სტრატეგია და ტაქტიკა

ანიმაციური პროცესების მართვის *სტრატეგიული* მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ შენარჩუნებული იყოს ტურისტული კომპლექსის ერთიანი მიზანი, ტურისტის მაქსიმალური კმაყოფილების მისაღწევად., განსაკუთრებით ფსიქო-ემოციური კომფორტის თვალსაზრისით.

*ტაქტიკა* კი ეს არის კონკრეტული მეთოდები და საშუალებები დასახული მიზნის მისაღწევად მიღებული საზღვრების ფარგლებში.

ამრიგად, **ანიმაციური მენეჯმენტი - ეს არის მმართველობითი პროცესების სისტემა მიმართული ტურისტული კომპლექსის მიერ დასახული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ტურისტულ ბაზარზე წარმატებული ფუნქციონირებისათვის.**

ანიმაციური მენეჯმენტის ფუნქციები

ანიმაციური მენეჯმენტი, როგორც სპეციალიზირებული მენეჯმენტის ერთ-ერთი სახე, განხორციელდება ტურისტული კომპლექსის ერთმანეთთან დაკავშირებული

დაგეგმვის, ორგანიზაციის, მოტივაციის და ანიმაციური მოღვაწეობის კონტროლის განხორციელების შედეგად.

## თავი 4. ანიმაცია ტურიზმში – ახალი პროდუქტი ქართულ ტურისტულ ბაზარზე

სისტემური მიდგომის თვალსაზრისით ტურისტული ანიმაცია ეს არის ტურისტის სპეციფიკური მოთხოვნის დაკმაყოფილება ურთიერთობებზე, აქტივობაზე, მოძრაობასა და სხვადასხვა გართობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება ახალგაზრდულ ტურიზმს. ახალგაზრდული ტურიზმისათვის უბრალოდ აუცილებელია ანიმაციის ის სახეები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათ მოთხოვნებს:

- **ანიმაცია თავგადასავლებით** - უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნას სიახლის, მოულოდნელის, აღმოჩენების, სასიამოვნო მძაფრი შეგრძნებების და სხვ შესახებ;

- **კულტურული ანიმაცია** - უზრუნველყოფს ახალგაზრდა ადამიანის მოთხოვნას სულიერ განვითარებაზე, ხალხების კულტურული მემკვიდრეობის, ისტორიული ძეგლების, ეთნოსის, ეროვნულობის გაცნობისას.

- **შემოქმედებითი ანიმაცია** - უზრუნველყოფს ადამიანის მოთხოვნას საკუთარი თავისა და შესაძლებლობების წარმოჩენაზე.

- **ანიმაცია მოძრაობაში**- უზრუნველყოფს ახალგაზრდა ადამიანის მოთხოვნას მოძრაობასა და აქტივობაზე

ანიმაციური პროგრამების ხასიათი და ფორმები მთლიანად დამოკიდებულია მომხმარებელზე და ორიენტირებულია მათ მოთხოვნებზე. პრაქტიკა აჩვენებს, რომ ერთი და იგივე ანიმაციურმა პროგრამამ შეიძლება ადამიანთა ერთ ჯგუფში გამოიწვიოს დადებითი ემოციები, ხოლო მეორეში -აბსოლუტურად საპირისპირო. დადებითი ემოციების შექმნა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, მათ შორის შემსრულებელ-ანიმატორზე. ანიმაციური პროგრამების ტიპი თანხვედრაში უნდა იყოს ტურისტის მოთხოვნებსა და შესაძლებლობებთან. აქედან გამომდინარე, არსებობს სხვადსხვა ტიპის ანიმაციური პროგრამები. კერძოდ სანატორიულ- გამაჯანსაღებელი; ბუნებრივ-რეკრეაციული; სპორტულ სანახაობრივი; კულტურულ შემეცნებითი; სანახაობრივ-გასართობი და სხვ (ცხრ.1).

ცხრილი 1 ანიმაციური პროგრამის სახეები

| ანიმაციური პროგრამის სახე | მიზნობრივი ჯგუფები | ანიმაციის სახე |
|---|---|---|
| **სპორტული** | სპორტსმენები, დამსვენებლები, რომლებიც ცდილობენ დასვენების პერიოდში შეინარჩუნონ სპორტული ფორმა | სპარტაკიადები; სპორტული თამაშები |
| **გამაჯანსაღებელი** | ყველა კატეგორიის დამსვენებელი, რომლებსაც სურვილი აქვთ აღიდგინონ ძალები ფიზიკური დატვირთვით | დილის ვასრჯიში; ცეკვის გაკვეთილები; აერობიკა;აუზის თამაშობანი;თევზაობა |
| **სპორტულ-გასართობი** | დამსვენებლები, რომლებიც მონაწილეობენ სპორტულ გასართობ თამაშობებში | მხიარული სტარტები; ოჯახური გუმნდები; ყველაზე სპორტული წყვილი |
| **სპორტულ-** | აქტიური დასვენების | საფეხმავლო ექსკურსიები; |

| | | |
|---|---|---|
| **შემეცნებითი** | მოყვარულებისათვის | ფოლკლორული სათამაშო პროგრამები |
| **კულტურულ/ შემეცნებითი** | კულტურული და ისტორიული ღირშესანიშნაობების გაცნობის მსურველთათვის | ფოლკლორული ღონისძიებანი; თეატრები; მუზეუმები; ადგილობრივი დღესასწაულები; კოსტუმირებული კარნავალები |
| **საგანმანათლ ებლო** | ახალი ჩვევებისა და ცოდნის შეძენა | ხელოსნობის შესწავლა; ხელსაქმის შესწავლა; ეროვნული ცეკვების, სიმღერების ეროვნული კერძების დამზადება/შესწავლა; თემატური პიკნიკები, სახალხო სეირნობანი და სხვ. |
| **სანახაობრივ/გ ასართობი** | გართობის მოყვარულთათვის | კარნავალები; კონკურსები; გამოფენები; თეატრალიზებული წარმოდგენები; კონცერტები; დისკოთეკები; |

ანიმაციური მენეჯმენტის სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი სახით:




